კონკურსი საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის

დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისათვის

გამოცხადდა კონკურსი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისათვის კომენიუსის უნივერსიტეტში ბრატისლავაში **(Comenius University in Bratislava)** მობილობისთვის.

მობილობა უნდა განხორციელდეს სტუდენტის დამამთავრებელ, მე-4 სემესტრში, სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის მიზნით, აუცილებლად 2026 წლის გაზაფხულის სემესტრში.

- მობილობის ხანგრძლივობა - 3 თვე
- სტიპენდიის რაოდენობა:
  - მგზავრობის ხარჯი: 275 ევრო
  - თვიური სტიპენდია: 800 ევრო

დაინტერესებულმა კანდიდატებმა სააპლიკაციო ფორმა უნდა შეავსონ **2026 წლის 10 თებერვლის 18:00 საათამდე.**

სააპლიკაციო ფორმა

სააპლიკაციო ფორმაში სავალდებულოა შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენა:

ვალიდური პასპორტის ან პირადობის მოწმობის ასლი / Passport or ID Card
რეზიუმე / CV (სასურველია EUROPASS ფორმატში)
შესაბამისი უცხო ენის მინ. B2 დონის კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატი/ცნობა / Language Certificate. ენის კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტების სრული ჩამონათვალი იხილეთ ბმულზე. გაითვალისწინეთ, რომ კანდიდატის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში უნდა ჩანდეს მისი მინ. B2 კომპეტენცია ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს (CEFR) მიხედვით

მიმდინარე საფეხურის ნიშნების ფურცელი გაცემული უნივერსიტეტის მიერ / Transcript of Records 2025-26 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ნიშნების ფურცელს, არგუსის დახურვის შემდეგ, შესაბამისი ფაკულტეტისაგან გამოითხოვს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური.
საკონკურსო პერიოდში გაცემული აქტიური სტუდენტის სტატუსის დამადასტურებელი ცნობა / Proof of Enrollment იმ შემთხვევაში, თუ განაცხადის შემოტანის დროს სტუდენტისათვის ცნობილია, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პერიოდში სწავლას ვერ ასრულებს (უწევს დამატებითი სემესტრის გავლა), აღნიშნული უნდა აისახოს სტუდენტის სტატუსის შესახებ ცნობაში.
მშობლიური უნივერსიტეტების სამეცნიერო ხელმძღვანელების მიერ ხელმოწერილი კვლევის გეგმა / Research Plan კვლევის გეგმის ფორმა ჩამოტვირთვა
ასეთის არსებობის შემთხვევაში, ეკონომიკური, სოციალური ან/და ჯანმრთელობის პრობლემის დამადასტურებელი ცნობა (იხილეთ მუხლი 3, პუნქტი 4) / Proof of disability, social or economic vulnerability (if relevant)
ბაკალავრიატის საფეხურის დიპლომი / BA Diploma
ბაკალავრიატის საფეხურის დიპლომის დანართი (ნიშნების ფურცელი) / BA Diploma Supplement (transcript of records) სავალდებულოა, რომ დიპლომის დანართში შეფასებები ასახული იყოს 100-ქულიანი სისტემით

ზოგადი ინფორმაცია ერაზმუს + პროგრამის კონკურსში მონაწილეობის წინაპირობების და პროცედურების შესახებ, იხილეთ ბმულზე: https://iro.iliauni.edu.ge/erasmus-iliaunis-studentebisthvis/

კითხვების შემთხვევაში, დაგვიკავშირდით - erasmusplus@iliauni.edu.ge